პროლეტარებო უფლა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 172 (12988) | შაბათი, 25 ივლისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

მეტალურგების გამარჯვება

დიდი შრომითი აღმავლობაა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. სხვანაირად არც შეიძლება. მეტალურგებმა საკვეყნოდ განაცხადეს, რომ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში უზარალოდ იმუშავებენ და 1965 წელს რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატს" მიიღებენ. პირველი შედეგები საუკეთესოა. მეტალურგებმა წლის პირველი ნახევრის დავალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს. სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს დიდძალი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები და სხვა პროდუქცია.

ამ წარმატებაში დიდია კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და ცალკეულ დამკვრელთა წვლილი. მათ შორის ერთ-ერთი პირველია კომუნისტი მეფოლადე იური გურგენიძე. მან წლის პირველი ნახევრის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული ტონა ფოლადი მისცა.

სურათზე: ი. გურგენიძე.

ფოტო გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოკორონიკა).

საბჭოთა ეკონომიკის დიადი ძალა

დღეს შვიდწლედის მეექვსე წლის მეორე ნახევრის ოცდამეხუთე დღეა გათენდა. გაზეთს თუ რადიოს ყოველდღე ახალი სასიხარულო სიტყვა მოაქვს საბჭოთა ადამიანებისათვის. 23 ივლისს გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ. ასეთივე ცნობა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდაზე ქვეყნდება დღეს „კომუნისტში".

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობის თვითეული ნაწილი ციფრების ენით ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ციფრები კვლავ და კვლავ მოწმობენ სოციალისტური წყობილების ძალასა და უპირატესობას, მისი ეკონომიკის სიმძლავრეს, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების უშრეტ ენერგიას და ურყევ ნებას — იარონ წინ, მხოლოდ წინ!

ახლა ნახევარ წელიწადში ჩვენ იმდენსავე და შეიძლება მეტსაც ვაკეთებთ, ვიდრე წინათ მთელი წლის მანძილზე. მაგალითად, მიმდინარე წლის ექვს თვეში ჩვენმა მრეწველობამ გამოუშვა გაცილებით მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ტრაქტორები, ვიდრე მთელ 1954 წელს. სამრეწველო პროდუქციის მატებამ განვლილ ნახევარ წელიწადში შეადგინა დაახლოებით შვიდნახევარი პროცენტი. განსაკუთრებით გაიზარდა ქიმიური და მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, გაზის წარმოება და სხვ.

სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში მოცემული ციფრები თვალნათლივ მეტყველებენ, თუ როგორ ეხმის ზრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს. წელს ჩვენი ქვეყნის მხვნელ-მთესველებმა წარმატებით დაამთავრეს საგაზაფხულო თესვა. ამიტომაც მოსავალიც მეტი იქნება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელმაც მიიღო კანონი კოლმეურნეთა პენსიისა და დახმარების შესახებ, აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში იქმნება რეალური შესაძლებლობანი მივიღოთ წელს იმდენი პური, რომ მთლიანად, ხოლო ბევრ რაიონში გადამეტებით შეავსრულოთ მარცვლის დამზადების გეგმა, სრულად დავკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება პურზე და მნიშვნელოვანი რაოდენობით შევქმნათ მარაგიც.

განუხრელად მაღლდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და ცხოვრების კულტურული დონე. ეს ჩანს ყველგან და ყველაფერში. ამას ვერ აჩენენ მხოლოდ ობივატელები.

ლენინის პარტია კვლავაც მოგვიწოდებს არ დაჯერდეთ მიღწეულს, აღნიშნავს, რომ იგი ზღვარი არ არის. საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება მით უფრო სწრაფად განხორციელდება, რაც უფრო მაღალი იქნება ეკონომიკისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, რაც უფრო მალე აღმოფხვრით ნაკლოვანებებს მუშაობაში და დავძლევთ ჩამორჩენას ცალკეულ უბნებზე.

სტატისტიკური აღრიცხვის მასალებში მოცემულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების ნათელი სურათი. იქ აღბეჭდილია არა მარტო მიღწევები, არამედ ნაკლოვანებებიც. ამიტომაც ისინი იძლევიან თავისებურ სიგნალს, თუ საით უნდა წარვმართოთ პარტიული, სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ღონისძიებანი მუშაობაში ეგრეთწოდებული „ვიწრო ადგილების" დასაძლევად.

მაშინ როცა მთლიანად საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოში საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია, გეგმა ვერ შეასრულა 73 საწარმომ, ანუ საწარმოთა საერთო რიცხვის 13 პროცენტმა, რომლებმაც სახელმწიფოს დააკლეს 10,9 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია. ცალკეული საწარმოები რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ პროდუქციის წარმოების, მისი თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერებისა და დაგროვების ზრდის დავალებებს, ნელა ითვისებენ ახალ სამძლავრეებს. უდავოდ სწორი იქნება, რომ ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, შესაბამისმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, როგორც სარკეში, ისე ჩაიხედონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში, შეადარონ თავიანთი მაჩვენებლები სხვებისას და დროულად გააკეთონ დასკვნები ჩამორჩენის დასაძლევად.

შვიდწლედის მეექვსე წლის მეორე ნახევარი კარგა ხანია დაიწყო. დრო ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის. და გამარჯვებულიც სწორედ ის იქნება, ვინც ფიზიკურ და გონებრივ შრომაში ფეხს აყოლებს მას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის, პარტიული კომიტეტის, თვითეული სამეურნეო მუშაკის მოვალეობაა არ შეანელოს ზრუნვა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის დღე

რკინიგზელთა ახალი წარმატება

ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელებმა, იბრძვიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა სათვის, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზელის დღის აღსანიშნავად და ახალი წარმატებები მოიპოვეს. მათ ვადამდე, 22 ივლისისათვის შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და გადაზიდვის შვიდი თვის დავალება. გაუმჯობესდა რთული სარკინიგზო კონვეიერის ყველა რგოლის მუშაობა: ვაგონების ბრუნვა ნორმასთან შედარებით 3,7 პროცენტით დაჩქარდა, ხოლო ლოკომოტივების სადღეღამისო გარბენის დავალება 7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. ამის შედეგად კიდევ უფრო გადიდდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო ტვირთზიდვის თვითღირებულება 5 პროცენტით და მეტად შემცირდა. ზეგეგმითმა მოგებამ 1,5 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა.

ფოლადის მაგისტრალების მშრომელთა მომავალი დღესასწაულის აღსანიშნავმა შრომითმა ვახტმა განსაკუთრებით დიდი წარმატება მოუტანა გზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებების რკინიგზელებს, რომლებიც აი უკვე მეოთხე დღეა აგვისტოს ანგარიშში მუშაობენ. (საქდესი).

სიმინდის დამუშავება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდი დათესილია 246.662 ჰექტარი. ნათესების დამუშავება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

სიმინდის მეორე დამუშავებაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მეორე თოხნა-კულტივაცია შესრულებულია 150.000 ჰექტარამდე ფართობზე. ამ სამუშაოს ტემპი განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ზესტაფონის, ამბროლაურის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, წულუკიძის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აჭარის ასს რესპუბლიკაში.

თიბვა, საკვების დამზადება

მასობრივად გაჩაღდა ნათესი და ბუნებრივი ბალახების თიბვა. გეგმით სულ უნდა გითიბოს 202.268 ჰექტარი. უკვე გათიბულია 50.000 ჰექტარზე მეტი. ბევრგან ეს სამუშაო ორგანიზებულად მიმდინარეობს. სიღნაღის საწარმოო სამმართველოში გათიბულია 8.000 ჰექტარზე მეტი. კიდევ გასათიბია 2.000 ჰექტარამდე.

გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში გათიბეს 6.000-მდე ჰექტარი, გასათიბი აქვთ 3.000-მდე ჰექტარი. დამზადებულია 7.000 ტონამდე თივა. ბოლნისელებმა 22.261 ჰექტარიდან გათიბეს 8.000-მდე ჰექტარი.

თიბვა და პირუტყვისათვის საკვების დამზადება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თეძრი წყაროს, მცხეთის, გურჯაანის საწარმოო სამმართველოებში. მაგრამ ეს სამუშაო ჩამორჩა თელავის, ყვარლის, საგარეჯოს, დუშეთის, გორის, ხაშურის, ახალციხისა და ზოგიერთ სხვა საწარმოო სამმართველოებში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ქვილიშორელი შუქურები

წყალტუბო. (საკ. კორ.). ხელმაღლიანი მეჩაიეები ჰყავს სოფელ ქვილიშორის კოლმეურნეობას.

ანნა კუბალეიშვილმა სამმართველოს ყველა მეჩაიეს გაუსწრო. დღემდე მის ანგარიშზეა 5.700 კილოგრამზე მეტი ნედლეული. სახელოვნად მეჩაიე ყოველდღიურად 120-130 კილოგრამს კრეფს და იბრძვის რვა ტონა ნედლეულისათვის.

ახალგაზრდა მეჩაიემ **გოგუცა გოგიძემ** 2.500 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ხოლო **ზინა ფანცხავამ** — 2.650 კილოგრამი.

კოლმეურნეობაში ყველაზე წინ არის მეჩაიეთა ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც **ლოლა ვარდანიძე** ხელმძღვანელობს.

ახალ დიდ წარმატებებს ვუსურვებ პოლონელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობაში

ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშა

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, როცა ვარშავიდან სამშობლოში ბრუნდებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე ყოფნის შემდეგ, ამხანაგებს ვლადისლავ გომულკას, ალექსანდრე ზავადსკისა და იუზეფ ცირანკევიჩს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც პოლონელ ხალხს უსურვებს მშვიდობასა და კეთილდღეობას, ახალ დიდ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი სულითა და გულით უძღვნის მადლობას პოლონეთის ხელმძღვანელებს გულთბილი მიღებისა და გულითადი სტუმარმოყვარეობისათვის, იმედს გამოთქვამს, რომ ეს შეხვედრები და საუბრები ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა შორის ძმური მეგობრობის შემდგომი განვითარების საქმეს, განამტკიცებენ დიადი სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთობას. (საკდესი).

გულითადი მილოცვა

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ტოდორ ჟივკოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავს და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს ბულგარეთისა და სსრ კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30 წლისთავის გამო.

კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, კუბელო მეგობრებო!

მოსკოვში ჩამოვიდა თავისუფლების კუნძულის დელეგაცია

მოსკოვი, 24 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის ლათინური ამერიკის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის ასოციაციის მოწვევით დღეს მოსკოვში ჩამოვიდა კუბელ რევოლუციონერთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ჰავანის პროვინციული კომიტეტის წევრი ულფრედო როდრიგესი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან მონაწილენი მონკადის ციხე-სიმაგრის გმირული შტურმისა, რომელმაც დასაბამი მისცა კუბელთა შეიარაღებულ ბრძოლას კუბის ეროვნული განთავისუფლებისათვის.

გმირი კუნძულის წარმომგზავნილები მონაწილეობას მიიღებენ მეგობრობის მიტინგებსა და საღამოებზე, რომლებიც გაიმართება მოსკოვსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში კუბელი ხალხის რევოლუციის დღესასწაულთან — ეროვნული აჯანყების (26 ივლისი) 11 წლისთავთან დაკავშირებით.

ეკანასკნელ საათს

მინისტრი აღიარებს

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში კვლავ არის უთანასწორობა ზანგებისა და თეთრკანიანებისათვის შრომის ანაზღაურების საქმეში. ეს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების შრომის მინისტრმა უილარდ უირტცმა, რომელმაც გუშინ სიტყვა წარმოთქვა რადიოთი. მისი სიტყვით, ზანგი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი საშუალოდ ორჯერ ნაკლებია თეთრკანიანთა ხელფასზე. ეს სხვაობა, განაცხადა მან, ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება.

სისხლიანი ამბები სინგაპურში

ლონდონი, 24 ივლისი. (საკდესი). მეოთხე დღეა სინგაპურში გრძელდება შეტაკება მალაელი და ჩინელი ეროვნების ჯგუფებს შორის. ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი. სინგაპურის ქუჩებში გამუდმებით დადიან პოლიციის პატრულები. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეისათვის შეტაკების დროს დაიხოცა 19 კაცი, დაიჭრა ასობით ადამიანი, პოლიციამ დააპატიმრა 1.400-ზე მეტი კაცი.

შეტაკების ცენტრია სინგაპურის მიყრუებული რაიონი გეილანდი, სადაც მეტწილად მალაელები ცხოვრობენ.

სინგაპურის პოლიციამ დღეს გამოაცხადა, რომ მდგომარეობა ქალაქში რავდენადმე გაუმჯობესდა. დღეს სინგაპურის პრემიერ-მინისტრმა ლი კუან იუმ იმოგზაურა შეტაკების რაიონში, რათა გაცნობოდა ვითარებას.

ამბავი ერთ ფოტოზე

ახალი ბროშურა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე „ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში სკკპ პროგრამის შესრულების ღონისძიებათა შესახებ".

ამავე ბროშურაში დაბეჭდილია აგრეთვე საბოლოო სიტყვა, რომელიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა სესიაზე 1964 წლის 15 ივლისს.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

ღრმა სამძიმარი

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ღრმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ირენ შტრუბეს მისი მეუღლის ოტო შტრუბეს უეცარი გარდაცვალების გამო, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელმძღვანელობდა სახალხო მამულს „შვანებურგს".

ამხანაგ ოტო შტრუბეს, მშრომელი ადამიანისა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური სოფლის მეურნეობის მებრძოლისა და მშენებლისა, ნათელი ხსოვნა, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, მარად დარჩება იმათ გულში, ვინც იცნობდა ამ შესანიშნავ ადამიანს. (საკდესი).

კამჩატკის ხე-ტყე იაპონიაში მიდის

პეტრეპავლოვსკ-კამჩატსკი, 24 ივლისი. (საკდესის კორ.). ავაჩინის ყურედან იაპონიაში გაემართა საბჭოთა ხე-ტყის საზიდი „კარელიის ხე-ტყე". თბომავალი დატვირთულია მაღალი თვისებების მქონე კამჩატკის ლარიქსით.

ჩვენს ქალაქში

მეგობრების სახლში

მოსკოვი, 23 ივლისი. (საკდესის კორ.). კუბის სასწავლო ლიტერატურის გამოფენა გაიხსნა დღეს საზღვარგარეთის ხალხებთან მეგობრობის სახლში. გამოფენა მოეწყო კუბელი ხალხის ეროვნული აჯანყების დღესასწაულის — აჯანყების დღის 11 წლისთავთან დაკავშირებით, რასაც ფართოდ აღნიშნავენ ჩვენს ქვეყანაში.

შვიდწლედის მძლავრი ნაბიჯებით

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომ პლენუმების გადაწყვეტილებებს, განვლილ ნახევარ წელიწადში ახალი წარმატებები მოიპოვეს ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებაში.

I. მრეწველობა

საქართველოს სსრ მრეწველობამ, აგრეთვე მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ 1964 წლის პირველი ნახევრის საერთო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა 103 პროცენტით შესრულა, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ — 104 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 109 პროცენტით. 1963 წლის პირველ ნახევართან შედარებით რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 0,5 პროცენტით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგების საერთო პროდუქციამ 1964 წლის პირველ ნახევარში 1963 წლის პირველ ნახევართან შედარებით შეადგინა:

	1964 წლის I ნახევარი პროცენტებით 1963 წლის I ნახევართან შედარებით
ქიმიური მრეწველობა	115
შავი მეტალურგია	105
სათბობის მრეწველობა	100,9
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	123
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	112
საშენი მასალების მრეწველობა	108
სატყეო, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელი მრეწველობა	104
მსუბუქი მრეწველობა	99,2
აქედან საფეიქრო	100,5
კვების მრეწველობა	93
აქედან:	
ხორცის	94
კარაქის, ყველის და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	85
მეღვინეობა	68
ჩაის მრეწველობა	115
თამბაქოს მრეწველობა	86

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულმა სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს 102 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოებმა — 106 პროცენტით, აჭარის ასსრ — 106 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულმა სამრეწველო საწარმოებმა — 108 პროცენტით.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოება გაიზარდა: ქალაქ თბილისში — 10 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 5 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 6 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 8 პროცენტით.

მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების 1964 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივ სამმართველოებსა და ტრესტებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1964 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა	104
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	96
რუსთავის მეტალურგიული ქარხანა	106
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	97
მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	100,7
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	101
საშენი მასალების მრეწველობის სამმართველო	103
ხისდასამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	98
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	102
ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო	96
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	105
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	104
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	104
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	101
საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	109
საქართველოს ნავთობის ტრესტი	105

(დასასრული მე-2 გვერდზე)

• მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ •

კვლავ უკრაინაში

ბათუმი. (საკ. კორ.). წელს გაზაფხულზე აჭარას ესტუმრა ბელოზერკის რაიონის (უკრაინის სსრ) სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია. უკრაინელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ქობულეთის რაიონის ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ბაღები. ესაუბრნენ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს. იყვნენ ახალშენის, ჩაისუბნის, ბობოყვათისა და აჭყვის კოლმეურნეობებში.

უკრაინელ და ქართველ მხვნელ-მთესველთა მეგობრობა ტრადიციად გადაიქცა. და აი უკრაინელმა სტუმრებმა სამშობლოში დაბრუნების წინ მიიპატიჟეს აჭყვის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" წევრები. წითელოქტომბრელებმაც არ დააყოვნეს. ამ დღეებში ისინი გაემგზავრნენ ბელოზერკის რაიონში, სადაც შეხვდებიან თავიანთ მეგობრებს.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მერუზნიდი, პარტბიუროს მდივნის მოადგილე მ. ორახოვი, მოწინავე მერგოლური, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. სტეფანიდი, მეჩაიე ვ. ტეროვა და სხვ.

წითელოქტომბრელთა წარგზავნილები ბელოზერკის რაიონში დარჩებიან ათ დღეს. გაეცნობიან მოწინავე მეცხოველეთა და მესიმინდე ნოვატორთა გამოცდილებას, ესტუმრებიან კოლმეურნეობა „როსიას", დაათვალიერებენ რაიონის ღირსშესანიშნაობებს.

ერევნის ღიარ სკვერში

შვიდწლედის მძლავრი ნაბიჯებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

საერთო გეგმა, რისი ძირითადი მიზეზია სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმის შეუსრულებლობა. ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მიზეზით სომხეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს დააკლეს 187 ტონა ნატვიფრი, ანუ გეგმის 15 პროცენტი.

მნიშვნელოვანი გადამეტებით არის შესრულებული ნაპედის შიგარესპუბლიკური მიწოდების გეგმა (126 პროცენტი), ამასთან თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანამ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი და მომხმარებელ ქარხნებს დააკლო 2 ტონა ნაპედი, რაც მიწოდების გეგმის 20 პროცენტს შეადგენს.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებები აწარმოებენ მუშაობას მეცნიერული კვლევის დარგში და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის.

1964 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაინერგა დაახლოებით 80 ღონისძიება. საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, აგრეთვე მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ათვისებულია თერმოდიფუზიური ხერხით მილების მოლითონების ტექნოლოგია. ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის ტრესტების შახტებში დაინერგა საკონვეიერო ნაზების ავტომატიზაცია და დისტანციური მართვა, რუსთავის ცემენტის ქარხანაში ითვისეს „600“ და უფრო მაღალი მარკის კლინკერის წარმოება, გორის ბამბეულის კომბინატის ერთ-ერთ უბანზე განხორციელდა მძიმე და შრომატევადი სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია, 40 ჩის ფაბრიკაში მექანიზებულია ბაიხაო ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხება, ხოლო 15 ჩის ფაბრიკაში დანერგილია მწვანე და შავი ბაიხაო ჩაის კომბინირებული გადამუშავების მეთოდი, გაფართოვდა სხვის მოწინავე მეთოდების გამოყენება: სხვა გამოსადნობი მოდელებით, კოკილის და ცენტრიდანული სხმა, სხვა წნეები. გაიზარდა შედუღების წესით კონსტრუქციათა წარმოება. ათვისებულია წარმოება და პირველად დამზადდა 15 ახალი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქცია. ამასთან ზოგიერთმა საწარმომ ვერ შეასრულა ახალი ტექნიკის დანერგვის დავალება. თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანამ ვერ შეასრულა 9დ151 და 9დ152 მოდელების ახალი მილსაჭრელი ჩარხების გამოშვების დავალება, ბათუმის მანქანთსამშენებლო ქარხანამ — ორი სახეობის მანქანებისა, ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ — ახალი საყვინთი ტუმბოებისა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა — კარბონატული მანგანუმის ჰიდროლისგან კონცენტრატების წარმოების დავალება. მანქანათმშენებლობაში ვერ სრულდება პლასტიკური მასებისგან მანქანათა და ხელსაწყოთა დეტალების დამზადების ღონისძიება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარმა სამმართველომ ვერ შეასრულა ელექტრგადაცემის ხაზების, ქვესადგურებისა და ელექტრქსელების რემონტის მექანიზაციის დავალება, რაც უნდა განხორციელებინა სარემონტო-მექანიზებული სადგურების დახარებით და სხვ.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებში გასულ ნახევარ წელიწადში შეტანილია 9 ათასი წინადადება წარმოების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. სულ დაინერგა დაახლოებით 6 ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც იძლევა 7 მილიონ მანეთამდე ეკონომიას წელიწადზე გაანგარიშებით.

რესპუბლიკის მრეწველობამ და სახალხო მეურნეობის საბჭომ შრომის ნაყოფიერების ნახევარი წლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს.

არ შესრულდა ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების შემცირების 1964 წლის პირველი ნახევრის გეგმა, რომელიც დაწესებული იყო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისათვის.

II. სოფლის მეურნეობა

მიმდინარე წლის გვიანმა გაზაფხულმა ზეგავლენა მოახდინა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად განხორციელებაზე, რის შედეგადაც საგაზაფხულო კულტურების თესვა დაგვიანდა აგროტექნიკურ ვადებთან შედარებით.

განაგრძობენ რა ნათესი ფართობების სტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას და ნერგავენ რა უფრო მოსავლიან კულტურებს, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გასულ წელთან შედარებით გაადიდეს ჩორბლის, სიმინდის, მზესუმზირას, ბოსტნეულისა და თამბაქოს ნათესი ფართობები.

1964 წლის მოსავლისათვის სარწყავ მიწებზე დაითესა 164 ათასზე მეტი ჰექტარი, მათ შორის 109 ათასი ჰექტარი მარცვლეული კულტურები.

თუ ჯეროვნად შესრულდა ნათესების მოვლის ყველა სამუშაო და დროზე იქნა აღებული მოსავალი, შეიძლება მოველოდეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები კარგი იქნება.

1964 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაამენეს 4 ათას ჰექტარზე მეტი ხეხილის ბაღები, 1,8 ათასი ჰექტარი ვენახები, 545 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 55 ჰექტარი დაფნის ნარგავები.

მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის წარმოებულია 386 ათასი ჰექტარით, ანუ 29 პროცენტით მეტი სატრაქტორო სამუშაოები, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

1 ივლისისათვის დამზადებულია 18,8 ათასი ტონა უხეში საკვები ნაკვლად 1963 წლის ამავე თარიღისათვის დამზადებული 50,4 ათასი ტონისა, აქედან თივა შესაბამისად 14,4 ათასი ტონა და 48,9 ათასი ტონა.

1964 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეიტანეს 909 ათასი ტონა ორგანული სასუქები, ანუ გეგმის 72 პროცენტი.

რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების საწყობებსა და ბაზებში შეზიდულია 160,7 ათასი ტონა მინერალური სასუქები, 20,2 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1963 წლის ამავე პერიოდში.

მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყო 683 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის ძროხა — 183 ათასი სული, ღორი — 179 ათასი სული, ცხვარი და თხა — 1748 ათასი სული. პირუტყვის სულადობა რამდენადმე ნაკლები იყო, ვიდრე გასული წლის 1 ივლისისათვის, იმის გამო, რომ მეტი გაიყიდა დასაკლავად ჯოგის ნაკლებადპროდუქტიული ნაწილი.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნამატი მიღებულია მეტი. ღორების გაწყდომა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა.

1964 წლის პირველ ნახევარში ყველა კატეგორიის მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს და მიჰყიდეს 94,8 ათასი ტონა, ანუ 9 პროცენტით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში, დაფნის ფოთოლი — 3,1 ათასი ტონა, ანუ 76 პროცენტით მეტი, კურკოვანები — 511 ტონა, ანუ 35 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

მაის-ივნისისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით, დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა კი 192 პროცენტით. პირუტყვისა და ფრინველის (ცოცხალი წონით) დამზადების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 108 პროცენტით. ჩამორჩენაა რძისა და კვერცხის დამზადებაში.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთზიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, მათ შორის: შავი ლითონებისა — 105 პროცენტით, ნავთობისა — 116 პროცენტით, ქვანახშირისა — 105 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა — 100,8 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 97 პროცენტით, ხე-ტყისა — 80 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვისა — 101 პროცენტით.

1963 წლის პირველ ნახევართან შედარებით ტვირთზიდვა გაიზარდა 10 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო დატვირთვა — 8 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვა — 6 პროცენტით.

სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დროის წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია. მაგრამ არ შესრულებულა სატვირთო მატარებლის საუბნო სიჩქარის, ერთ ტექნიკურ სადგურში და ერთი სატვირთო ოპერაციისათვის ვაგონთა დგომის საშუალო დროის გეგმა.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო საარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გადაზიდა 27 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი, ამასთან გავლილია 352 მილიონზე მეტი ტონა-კილომეტრი. ტვირთზიდვის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით, ხოლო ტვირთბრუნვის გეგმა არ შესრულებულა.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით ტვირთბრუნვა 7 პროცენტით გაიზარდა.

წლის პირველ ნახევარში საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებით გადაყვანილია 168 მილიონზე მეტი მგზავრი, ამასთან გავლილია 1.079 მილიონზე მეტი მგზავრ-კილომეტრი.

1963 წლის პირველ ნახევართან შედარებით მგზავრთა გადაყვანა და მგზავრბრუნვა გაიზარდა 12 პროცენტით, მიუხედავად ამისა ნახევარი წლის გეგმა არ შესრულებულა.

სატვირთო ტაქსების ფასიანი გარბენის წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულდა 115 პროცენტით, მსუბუქი ტაქსებისა — 103 პროცენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატაქციების მთავარმა სამმართველომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით შეაკეთა გზატაქციები (ადგილობრივი გზების გარდა): კაპიტალური რემონტით — 1 პროცენტით მეტი, საშუალო რემონტით — 8 პროცენტით მეტი, მაგრამ გზების კაპიტალური და საშუალო რემონტის ნახევარი წლის გეგმა არ შესრულებულა.

გაიზარდა კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელი. გაიხსნა კავშირგაბმულობის 22 ახალი განყოფილება. ნახევარი წლის მანძილზე საქალაქო სატელეფონო სადგურების სიმძლავრე, მათ შორის ავტომატური სადგურებისა, 2 ათასი ნომრით გაიზარდა, საექსპლოატაციოდ გადაცემულია ერთი ავტომატური სატელეფონო სადგური სოფელ ადგილას.

IV. კაპიტალური მშენებლობა

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა თანხებით ამოქმედდა 61,3 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, მათ შორის საწარმოო დანიშნულების ობიექტებში 46,2 მილიონი მანეთისა.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა თანხებით ამოქმედდა მთელი რიგი ახალი საწარმოო სიმძლავრეები: ხესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში 2 ელექტროღუმელი ფეროშენადნობთა მისაღებად, სალტის ახალი ქარხანა საგარეჯოში, რომელიც წელიწადში უშვებს 80 ათას ცალ ავტომობილის საბურავს, რომელთა აღდგენა ხდება ახალი პროტექტორის დადების მეთოდით, ხოლო გუდაუთის ავტოსარმონტო ქარხნის გაფართოების გზით ამოქმედდა 30 ათასი ცალი ავტომობილის საბურავის საწარმოო სიმძლავრე. თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში ამუშავდა 150 ათასი კილოვატი სიმძლავრის № 2 ტურბოგენერატორი და საათში 500 ტონა ორთქლის სიმძლავრის № 2 ქვაბი. ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში ამუშავდა რაბდოპასიტის საცდელი დანადგარი. ქუთაისის, წყორისა და გუდაუთის ნავთობის ბაზებში ამოქმედდა 13,5 ათასი კუბური მეტრი საერთო სიმძლავრის ნავთობტევადობანი. აშენებულია ახალი და გაფართოებულია ელექტროგადაცემის მოქმედი ხაზები. 7,5 ათასი კუბური მეტრით გადიდდა ამობურცული პერლიტის წარმოების სიმძლავრენი რუსთავის მინერალური სასუქების ქარხნის პერლიტის საამქროში. გორის ბამბეულის კომბინატში დადგმულია 15,7 ათასი ცალი სპრთავი თითისტარი და 129 ცალი საქსოვი დაზგა, ხოლო ქუთაისის ბამბის საქსოვ ფაბრიკაში — 33 საქსოვი დაზგა, აგრეთვე საექსპლოატაციოდ გადაცემულია მეცხოველეობის ნაგებობანი. გაიზარდა სარწყავი და ამოსაშრობი მიწებისა და გაწყლიერებული საძოვრების ფართობები.

ამავე დროს საექსპლოატაციოდ არ გადაუცია არგონის, თეთრას, ავეჯის, წინდის ნაწარმის, ხორცის, მოუხდელი რძის პროდუქციის წარმოების სიმძლავრენი, რომლებიც გათვალისწინებული იყო წლის პირველი ნახევრის გეგმით, მინერალური სასუქების საწყობები, ქვაბი რუსთავის თბოელექტროცენტრალში — IV რიგი, მაცივრები კვების მრეწველობაში, მარცვლის გადასამუშავებელი წისქვილები.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულმა კაპიტალურმა დაბანდებებმა შეადგინა 137 მილიონი მანეთი და 1963 წლის პირველ ნახევართან შედარებით 2 პროცენტით გადიდდა.

ძმიერ მრეწველობაში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით კაპიტალური დაბანდებანი 6 პროცენტით გადიდდა, შავ მეტალურგიაში — 2 პროცენტით, ნავთობის მრეწველობაში — 31 პროცენტით, სამშენებლო ინდუსტრიაში — 3 პროცენტით, სამედიცინო მრეწველობაში — 36 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 39 პროცენტით, ტრანსპორტში — 26 პროცენტით, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში — 61 პროცენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობით წლის პირველი ნახევრის გეგმა 78 პროცენტით შესრულდა, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 88 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოში შესაბამისად — 72 და 87 პროცენტით, სამინისტროებსა და უწყებებში 78 და 81 პროცენტით და ადგილობრივ საბჭოებში — 102 და 108 პროცენტით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა საკუთარი ძალებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 5 პროცენტით გაადიდეს, თუმცა ნახევარი წლის გეგმა არ შესრულებულა.

მშენებლობაში შრომის ნაყოფიერება გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 3,2 პროცენტით გადიდდა. ამავე დროს ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გაზრდის გეგმა და სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების გეგმა.

V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვმა 1964 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 1.105 ათასი კაცი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 40 ათასზე მეტი კაცით.

საწარმოო დარგებში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ და სხვა მუშაკთა რიცხვი გაიზარდა 20 ათასით, სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებათა მუშაკებისა — 12 ათასით.

1964 წლის დამდეგისათვის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებული იყო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 220 ათასი სპეციალისტი, მათ შორის უმაღლესი განათლებით — 123 ათასი კაცი.

განვლილ ნახევარ წელიწადში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლები და სკოლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა 2 ათასამდე ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. გარდა ამისა, 30 ათასი კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობების მუშაკი დაეუფლა სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საფუძვლებს საყოველთაო აგროტექნიკური სწავლების წესით.

წლის პირველ ნახევარში გაიხსნა ახალი შემნახველი სალარობები. ნახევარი წლის განმავლობაში ანაბრების ნაშთი გადიდდა 19 მილიონ მანეთზე მეტით, ანუ 11 პროცენტით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ (ამაში არ შედის სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვა, რასაც შეადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვა ადგილობრივი ბაზრების ფასებში, და სამხედრო ვაჭრობის საქონელბრუნვა) 1964 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 629,1 მილიონი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით შესადარ ფასებში გადიდდა 6,4 მილიონი მანეთით, ანუ ერთი პროცენტით.

სამომხმარებლო კოოპერაციამ ადგილობრივი ბაზრების ფასებში გაყიდა 11,2 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში წინასწარი გაანგარიშებით, შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაყიდულია 1964 წლის I ნახევარში	1964 წლის I ნახევარი პროცენტობით 1963 წლის I ნახევართან შედარებით
ხორცი, ძეხვეული და ხორცის სხვა პროდუქტები	111	
კარაქი	117	
მცენარეული ზეთი	124	
რძე და რძის პროდუქტები	69	
შაქარი	117	
საკონდიტრო ნაწარმი	111	
კარტოფილი	97	
ბოსტნეული	88	
ნაყოფი, ხილი, კენკრა და ბაღჩეული	185	
ბამბის ქსოვილები	94	
შალის ქსოვილები და კაბები	111	
აბრეშუმის ქსოვილები	77	
შეკერილი საქონელი	100	
ტრიკოტაჟის ნაწარმი	91	
წინდები	111	
ტყავის ფეხსაცმელი	87	
ავეჯი	94	
საკერავი მანქანები	68	
საათები	87	
ველოსიპედები და მოტოციკლები	96	
რადიოსაქონელი	123	

1964 წლის პირველ ნახევარში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოსახლეობისათვის მისაყიდად გაგზავნილია მეტი ელექტრომაცივარი, ტელევიზორი, ველოსიპედი, შიფერი, ცემენტი, დახერხილი ხე-ტყე, პიანინო და როიალი, ფანჯრის მინა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონელი.

მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილება ზოგიერთ საქონელზე სრულად როდი კმაყოფილდება, კერძოდ, ისეთ საქონელზე, როგორიც არის ელექტრომაცივარები, შიფერი, სამასალე მერქანი, ელექტრომტვერსასრუტები, სარეცხი მანქანები და სხვ.

მრეწველობა და სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ითვალისწინებენ მოთხოვნილებას საქონლის ასორტიმენტსა და ხარისხზე, რის შედეგადაც სავაჭრო ორგანიზაციებში იზრდება საქონლის მარაგი.

მოპოვებულია შემდგომი წარმატებანი სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საქმეში.

დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა გასულ სასწავლო წელს შეადგინა 858 ათასამდე კაცი, ანუ 54 ათასით მეტი, ვიდრე გასულ წელს იყო.

1964 წელს საშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დაამთავრა და საშუალო განათლების ატესტატი მიიღო 22 ათასზე მეტმა კაცმა.

ფართოვდება სკოლა-ინტერნატებისა და საწარმოო სწავლების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტიკური სკოლების ქსელი.

1963-64 სასწავლო წლის დამდეგისათვის რესპუბლიკაში იყო 70 სკოლა-ინტერნატი, რომლებშიც სწავლობდა 20,4 ათასი კაცი, 174 სკოლა გახანგრძლივებული დღის ჯგუფებით, სადაც სწავლობდა 9,3 ათასი კაცი, და 1.139 სკოლა, რომლებშიც საწარმოო სწავლას გადის საშუალო სკოლების მე-9-11 კლასების 99 ათასი მოსწავლე.

მიმდინარე წელს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები გამოუშვებენ 15 ათას სპეციალისტს.

წლის დამდეგისათვის რესპუბლიკაში იყო 186 სამეცნიერო დაწესებულება. მეცნიერ მუშაკთა და მეცნიერ პედაგოგთა რიცხვი შეადგენს დაახლოებით 13 ათასს, აქედან 531 მეცნიერებათა დოქტორია, 3,6 ათასზე მეტი — მეცნიერებათა კანდიდატი.

1964 წლის პირველ ნახევარში, რესპუბლიკის თეატრების წარმოდგენებს დაესწრო ორ მილიონამდე კაცი, ხოლო კინოსურათებს — 24 მილიონზე მეტი.

შემდგომ უმჯობესდებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. გადიდდა საწოლთა რიცხვი საავადმყოფოებში, სამშობიარო სახლებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში.

მნიშვნელოვანი ოდენობით ხორციელდებოდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრებით რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობია 165 ათასი კვადრატული მეტრი, მაგრამ არ შესრულებული საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმა.

ხორციელდებოდა კაპიტალური დაბანდებანი განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობაში, მაგრამ მათი საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმა არ შესრულებულა.

კაპიტალური დაბანდებანი სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ კომუნალურ მშენებლობაში 1963 წლის პირველ ნახევართან შედარებით 9 პროცენტით გადიდდა. წარმოდგდა ქალაქების, მუშათა დაბების, სოფლის რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის სამუშაოები.

კვლავ უმჯობესდებოდა ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. გაფართოვდა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი, სახეობანი და ფორმები, ამაღლდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურა და ხარისხი. გადიდდა სამუშაოთა მოცულობა ისეთ დარგებში, როგორიც არის: მოსახლეობის მომსახურება სამრეცხაოებით, ბინების რემონტი მოსახლეობის შეკვეთებით, ლითონნაწარმისა და ტექნიკურად რთული საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების რემონტი, ავეჯის რემონტი და გაკეთება და სხვა სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურება. მაგრამ ზოგიერთი სახეობის მომსახურება ნაკლებად ინერგება, კერძოდ, ბინიდან თეთრეულის წაღება გასარეცხად, ნივთების წაღება ქიმიური წმენდისათვის, ბინების რემონტი, ჩარჩოების მომინვა. საკმაოდ არ არის მოწესრიგებული სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

გაზიფიცირებული ბინების რიცხვი ნახევარ წელიწადში გადიდდა: ქსელის გაზით — 7,2 ათასით, ანუ 15 პროცენტით, თხევადი გაზით — 8,6 ათასით, ანუ 13 პროცენტით. ქსელის გაზის მიწოდება მოსახლეობისათვის გადიდდა 29 პროცენტით, თხევადი გაზისა — 38 პროცენტით.

* * *

შვიდწლედის მეექვსე წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობენ რესპუბლიკის მშრომელთა ახალ წარმატებებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში.

***) კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო







საკლესიო განცხადება

ამ დღეებში თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ნატოს სამხედრო ბლოკთან დადო შეთანხმება გადასცეს მას სხვადასხვა ინფორმაცია, რომელიც ატომურ იარაღს შეეხება. ეს შეთანხმება, როგორც ნათქვამია თეთრი სახლის ცნობაში, ითვალისწინებს იმ „ატომური ინფორმაციის სახეობათა გაფართოებას", რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები გადასცემენ თავიანთი შეხედულებისამებრ მთელ ნატოს ბლოკს ან ამ ბლოკის ცალკეულ მონაწილეებს. განსაკუთრებით გაფართოვდება გადაცემა ცნობებისა, რომლებიც საჭიროა „ატომური იარაღის მიტანის სათანადო სისტემების შესამუშავებლად", ე. ი. ცნობებისა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებს საშუალებას მისცემენ მოიმარჯვონ თავიანთი რაკეტები და სხვა საბრძოლო საშუალებანი ატომური მუხტებით გასატენად.

ამასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

შეერთებული შტატები პირველად როდი დგამენ ნაბიჯებს, რომლებსაც მოსდევს ატომური იარაღის გავრცელება, და ყოველ ასეთ ნაბიჯს თან ახლავს მათი განცხადება, ატომური იარაღის გადაცემა ჯერ კიდევ არ ხდება და ხალხებს შეუძლიათ დამშვიდებული იყვნენო. ასე იყო 1955 წელს, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად დაიწყეს ატომური ინფორმაციის გადაცემა თავიანთი მოკავშირეებისათვის. ამაზე ლაპარაკი იყო აგრეთვე 1958-59 წლებში, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ინგლისთან და მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან დადეს ორმხრივი შეთანხმებანი გაეცვალათ ინფორმაცია, რომელიც ატომურ იარაღს შეეხება. დამამშვიდებელი განცხადებები ბლომად იყო აგრეთვე 1962 წელს, როცა ათენში ნატოს საბჭოს სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატები ამბობდნენ, რომ მზად არიან უფრო ფართოდ გაუზიარონ ევროპელ მოკავშირეებს ინფორმაცია თავიანთი ატომური არსენალის შესახებ. არაერთხელ გვსმენია ამერიკელ მოღვაწეთა განცხადება, რომ ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნას საერთო არა აქვს რა ატომური იარაღის გავრცელებასთან. და ახლაც თეთრი სახლის დოკუმენტებში და ამერიკის პრესაში ყოველნაირად ცდილობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ბლოკის ახალი შეთანხმება დაგვიხატონ როგორც უვნებელი წამოწყება, რომელიც თითქოს არ შეიცავს ატომური იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებულ რისკს.

მაგრამ სხვა რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ახალ შეთანხმებას, თუ იქ მოუკიბოლოკიბავად ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა სამხედრო პერსონალს ასწავლიან ატომური იარაღის ხმარებას, თუ ამ პერსონალს გააცნობენ ატომური იარაღის გამოყენების გეგმებსა და მონაცემებს, რომლებიც შეიცავენ „პოტენციურ მოწინააღმდეგეთა შესაძლებლობების შეფასებას ატომური იარაღის გამოყენების საკმეში", თუ გააცნობენ ამერიკის მეცნიერულ-ტექნიკურ მასალებს რაკეტულ-ატომური იარაღის სისტემების შესახებ და სხვ.? უკვე მარტო ეს მოწმობს, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ პირდაპირ არ გადასცემენ ატომურ იარაღს თავიანთ მოკავშირეებს, ყოველ შემთხვევაში ამზადებენ მათ, რომ დაეუფლონ ატომურ იარაღს და გამოიყენონ უმოკლეს ვადებში და მათთვის მოხერხებულ დროს. მხოლოდ ასე შეიძლება შევაფასოთ ახალნდელი შეთანხმება.

ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ შეთანხმების დადება აიხსნება უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიის პრეტენზიებით, რომელსაც მცირე როლი როდი ეკუთვნის იმაში, რომ, მიუხედავად ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ბევრი მონაწილის წინააღმდეგობისა, ნატომ მიიღოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის გეგმები. დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული წრეების ზეგავლენას, როგორც ჩანს, ვერ გაუმკლავდა ამერიკის კანონები სამხედრო ატომურ საიდუმლოებათა დაცვის შესახებ, ისე როგორც ვერ გაუმკლავდა ბევრი ევროპელ წოდებული „შეზღუდვა" დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღებისა, რაც გათვალისწინებულია პარიზის შეთანხმებებით. მშვიდობის მოყვარედ გვიხატავენ რა მოურჯულებელ გერმანელ მილიტარისტებს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მოწინააღმდეგენი ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობები თითქმის ეცილებიან ერთმანეთს, ვინ ჩაავლოს ხელი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და მიიყვანოს უკვე მზა ატომურ ბომბებთან. ამასთან ისინი თავს იტყუებენ და სხვებსაც ატყუებენ, როცა ამტკიცებენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იმას დასჯერდება, რასაც დღეს მისცემენ, და ხვალ კიდევ მეტს არ მოითხოვს.

განა ცნობილი არ არის დასავლეთში, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი თავდაცვის მინისტრი შტრაუსი ამტკიცებდა, ატომური იარაღის ფლობა და მისი ხმარების უფლება „სუვერენობის სიმბოლო, დამახასიათებელი ნიშანი და განუსაზღვრელი კრიტერიუმიაო". გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი სამხედრო მინისტრი ჰასელი კი, იმოწმებს რა იმ ფაქტს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოს აძლევს შეიარაღებული ძალების სიდიდით მეორე (ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ) კონტინგენტს, მოითხოვს შესაბამის „ნილს ატომურ დაგეგმვასა და ატომურ პასუხისმგებლობაში". აი როგორ ესმით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „ატომური თანამშრომლობა ნატოს ფარგლებში". ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ბონი დაუფარავი კმაყოფილებით შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ნაბიჯს ატომური ინფორმაციის გაფართოებაში როგორც თავისებურ დიდ ავანსს მომავალი ავანტურებისათვის.

მაშინ, როცა ხელს აწერენ შეთანხმებას ატომური იარაღის შესახებ გაფართოებული ინფორმაციის გადაცემის თაობაზე, მაშინ როცა დასავლეთგერმანელი ოფიცრები და მატროსები უკვე ადიან საეს.ადერო ნაღმოსან „ბიდლზე"—პირველ ხომალდზე, რომელიც პირველსახეა მრავალმხრივი ატომური ძალებისა, რომელთა შექმნის გეგმებს ამუშავებენ ნატოს წიაღში, — ამერიკის წარმომადგენელნი 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში მოლაპარაკების დროს გვარწმუნებენ, ამერიკის შეერთებული შტატები ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგი არიანო. რა თქმა უნდა, ასეთი წინააღმდეგობა სიტყვასა და საქმეს შორის არ მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გულწრფელად უდგებიან ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას, როგორიცაა ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილება. ამრიგად, როცა გამოდიან ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ, ამერიკელი პოლიტიკოსები ამავე დროს იურიდიულად, ხელშეკრულების წესით, განამტკიცებენ მისი გავრცელების შესაძლებლობას.

ნატოს მონაწილენი, რომლებმაც დადეს ახალი შეთანხმება ატომური ინფორმაციის გაცვლის შესახებ, ფაქტიურად უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს, და განსაკუთრებით სახელმწიფოებს, რომლებსაც ამჟამად აქვთ ატომური იარაღი, ყოველი ღონე იხმარონ, რათა დიდიდოს საერთაშორისო შეთანხმება, რომლითაც ატომური სახელმწიფოები „იკისრებენ ვალდებულებას თავი შეიკავონ და არ გადასცენ ატომური იარაღისადმი კონტროლი და არ მიაწოდონ ცნობები, რომლებიც საჭიროა ამ იარაღის წარმოებისათვის, სახელმწიფოებს, რომლებსაც არა აქვთ ასეთი იარაღი..."

მსოფლიოს ხალხებს კარგად აქვთ შეგნებული ატომური იარაღის გავრცელების საფრთხე და ის, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შემუშაონ შეთანხმება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ საფრთხის აღკვეთას. ამერიკის შეერთებული შტატების გეზი, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და ნატოს სხვა მონაწილეებთან ერთად მოემზადონ ატომური ომისათვის, მთავარი დაბრკოლებაა ასეთი შეთანხმების დადების საქმეში. ხოლო კარანტინი ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ უნდა იყოს ეფექტანი, უნდა იყოს ისეთი, რომ მას ვერასაზეით ვერ შეუარონ გვერდი.

ახორციელებენ რა ახალ ღონისძიებებს ატომური იარაღის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა ქვეყნების მთავრობები ამით ძმიმე პასუხისმგებლობას კისრულობენ ხალხთა წინაშე.

ტრადიციულ კინოფესტივალზე

ლოკარნოში (შვეიცარია) გაიხსნა ტრადიციული საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელზეც წარმოდგენილია 18 ქვეყნის კინემატოგრაფია. კინოფესტივალში მონაწილეობენ სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, პოლონეთი, შვეიცარია, ინდოეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, იტალია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა ქვეყნები. საბჭოთა კავშირმა ფესტივალზე წარადგინა რეჟისორ ი. ხეიფიცის მხატვრული ფილმი „ბედნიერების დღე" და მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ვლადიმერ ფავორსკი".

პარლამენტარეგი მოითხოვენ

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). კენიის პარლამენტართა ჯგუფმა მოითხოვა, რომ კენიიდან დაუყოვნებლივ გააძევონ ინგლისის უმაღლესი კომისარი დე ფრეიტასი კენიის წინააღმდეგ ჩადენილი მტრული აქტების გამო, რომლებიც ბოლო დროს მოხდა ინგლისში. კერძოდ, ლონდონში თავს დაესხნენ კენიის პრემიერ - მინისტრს ჯომო კენიატას, ხოლო კენიის ლონდონის წარმომადგენლობის შენობის კედლებზე გაჩნდა ხულიგნური წარწერები.

როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, კენიის პარლამენტის წევრებმა ჩამოხსნეს და გადაყარეს პარლამენტის შენობაში ჩამოკიდებული ყოფილი ინგლისელი სპიკერებისა და სხვა მოხელეების პორტრეტები.

კენიის პარლამენტარებმა მოითხოვეს აგრეთვე კენიიდან გაასახლონ ყველა ინგლისელი ოფიცერი, რომლებიც დღემდე კენიის პოლიციაში მუშაობდნენ.

ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

ამერიკელ პოლიტიკოსთა მძიმე პასუხისმგებლობა

გეოგენ ჩინელ გამთიშველებს

სასწრაფოდ უნდა იქნას მოწვეული კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი თათბირი

ულან-ბატორი, 23 ივლისი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის წევრები, მთელი მონღოლი ხალხი იწონებენ და მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს, რომელიც გაეგზავნა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმდინარე წლის 15 ივლისს, და მიაჩნიათ, რომ ამ წერილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში დროებითი სიძნელეების გადალახვისათვის, რომლებიც გამოიწვია ჩინეთის ხელმძღვანელთა მავნე გამოიშველმა მოქმედებამ, ნათქვამია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „უნენის" მოწინავე სტატიაში. ამას იუწყება მონცამეს სააგენტო.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები და მათი მსახურები გააფთრებით თავს ესხმიან მომძე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, ამ პარტიათა ნაცად ხელმძღვანელებს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ამხილებენ მათს მავნე მოქმედებას, თანმიმდევრულად იცავენ მარქსიზმ-ლენინიზმის ნამელი მოძღვრების სწორნიდეს და აკრიტიკებენ მათ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან.

ჩინეთის ხელმძღვანელები, აღნიშნავს გაზეთი, უწინარეს ყოვლისა ცდილობენ სახელი გაუტეხონ და ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ავანგარდია, ლენინიზმის სამშობლოს და პირველ სოციალისტურ ქვეყანას — საბჭოთა კავშირს. ამასთან ისინი იყენებენ ყველაზე ბინძურ ხერხებს.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, წერს „უნენი", იწონებს და მხარს უჭერს წინადადებას, რომ უახლოეს ხანში გაიმართოს მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი და გმობს ჩინელ გამთიშველებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის 15 ივნისის წერილთან დაკავშირებით, რომელიც ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა პასუხად 1964 წლის 7 მაისის წერილზე, არგენტინის კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ იგი სავსებით ეთანხმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბოლო ეტაპზე ერთმანეთს, ვინ ჩაავლოს ხელი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და მიიყვანოს უკვე მზა ატომურ ბომბებთან. ამასთან ისინი თავს იტყუებენ და სხვებსაც ატყუებენ, როცა ამტკიცებენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იმას დასჯერდება, რასაც დღეს მისცემენ, და ხვალ კიდევ მეტს არ მოითხოვს.

განა ცნობილი არ არის დასავლეთში, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი თავდაცვის მინისტრი შტრაუსი ამტკიცებდა, ატომური იარაღის ფლობა და მისი ხმარების უფლება „სუვერენობის სიმბოლო, დამახასიათებელი ნიშანი და განუსაზღვრელი კრიტერიუმიაო". გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი სამხედრო მინისტრი ჰასელი კი, იმოწმებს რა იმ ფაქტს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოს აძლევს შეიარაღებული ძალების სიდიდით მეორე (ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ) კონტინგენტს, მოითხოვს შესაბამის „ნილს ატომურ დაგეგმვასა და ატომურ პასუხისმგებლობაში". აი როგორ ესმით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „ატომური თანამშრომლობა ნატოს ფარგლებში". ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ბონი დაუფარავი კმაყოფილებით შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ნაბიჯს ატომური ინფორმაციის

განიარაღების კომიტეტში

ჟენევა, 23 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ბ. დრაგუნოვი გვატყობინებს:

დღეს ს. კ. ცარაპკინის (სსრ კავშირი) თავმჯდომარეობით გაიმართა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის 201-ე სხდომა, რომელმაც განიხილა ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტის გზაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების" შექმნის ყბადაღებული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ატომური იარაღი ჩაუგდოს ხელში დასავლეთ გერმანიას.

ნეიტრალურ ქვეყნებში კარგად ესმით, თუ რას უქადის მსოფლიოს „მრავალმხრივი ატომური ძალები". ამას მოწმობს, კერძოდ, მექსიკის წარმომადგენლის გ. რობლედოს დღევანდელი გამოსვლა. რობლედომ ხაზი გაუსვა, რომ მექსიკის მთავრობა გადაჭრით მოითხოვს ატომური იარაღის მოსპობას და ატომური ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებას და განაცხადა, ყოვლად შეუძლებელია იმ ქვეყნების რაოდენობის გაზრდა, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთო.

შემდეგ გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და კანადის წარმომადგენლები, რომლებიც, ისევე როგორც წინა სხდომებზე, ყოველნაირად ცდილობდნენ დაეცვათ „მრავალმხრივი ატომური ძალების" შექმნის პროექტი. მართალია, ინგლისის დელეგატმა ტომასმა თქვა, რომ მის ქვეყანას „არ სურს" ატომური იარაღი გავრცელდეს სხვა სახელმწიფოებში. მაგრამ მისი თვალსაზრისით „მრავალმხრივი ატომური ძალები" არც გამოიწვევენ ამას. საოცარი ლოგიკაა! დასავლეთის სამივე დელეგატი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ „მრავალმხრივი ატომური ძალების" შექმნის გეგმა სავსებით შეესაბამება ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების იდეას.

ამ „თეორიის" საკადრისი პასუხი გასცა თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის დელეგატმა ს. კ. ცარაპკინმა. მან კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ნატოს წევრ სახელმწიფოთა დაახლოებით ნახევარმა უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს „მრავალმხრივ ატომურ ძალებში", სამაგიეროდ დასავლეთ გერმანია მაქსიმალურ დაინტერესებას იჩენს ამ ძალებისადმი და ხარბად იწვდის ხელს მასობრივი განადგურების იარაღისაკენ. აი, განაცხადა საბჭოთა დელეგატმა, გისთვის იქმნება ეს ძალები.

ბულგარეთის წარმომადგენელმა კ. ლუკანოვმა თავის გამოსვლაში აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მრავალმხრივი ატომური ძალების" შექმნის გეგმები ვერ ეგუება ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილების ამოცანას.



ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში დიდ უკმაყოფილებას იწვევს საფრანგეთის უარი იმაზე, რომ მონაწილეობა მიიღოს ნატოს „მრავალმხრივ ატომურ ძალებში".

დე გოლი:

— მაგათ ყურადღებას ნუ აქცევ, ბიჭიკო. აი ბურთი, და ახლა შეგიძლია ცალკე ითამაშო.

„კრისჩენ საიენს მონიტორი", ბოსტონი.

ინდონეზიელ ქალთა კონგრესი

ჯაკარტა, 24 ივლისი. (საკდესი). ღღეს ჯაკარტის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა ინდონეზიის ქალთა მოძრაობის მეთე კონგრესი. კონგრესზე ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

კანადის მოსახლეობა

კანადის მოსახლეობა 1 ივნისისათვის იყო 19.237 ათასი კაცი. ერთი წლის მანძილზე მოსახლეობა გაიზარდა 341 ათასი კაცით, უმთავრესად იმიგრაციის შედეგად.

კვიპროსელთა მოთხოვნა

ნიკოზია, 23 ივლისი (საკდესი). კვიპროსის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატამ ერთსულოვნად მოიწონა რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვს ინგლისის ჯარების კონტინგენტი გამოიყვანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ ძალების შემადგენლობიდან, რომლებიც კუნძულზე იმყოფებიან.

ამ კონტინგენტის ჯარისკაცები, — აღნიშნულია რეზოლუციაში, — „სამარცხვინოდ მოქმედებდნენ და ხრულიადაც არ უწყობდნენ ხელს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც მათ დაუსახეს. როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების შემადგენლობაში შეიყვანეს".

ტერორი, რეპრესიები

მეხიკო, 24 ივლისი. (საკდესი). ჰონდურასის ახლანდელი მთავრობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოექცა სამხედრო გადატრიალების შედეგად, ფეხქვეშ თელავს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და მოქალაქეთა უფლებებს. აი უკვე ათი თვეა ჰონდურასში ფაქტიურად შემოღებულია საგანგებო წესები. საყოფილეები სავსეა პოლიტიკური პატიმრებით. რეპრესიების შედეგად დაიღუპა 2 ათასზე მეტი კაცი.

ეს ნათქვამია ჰონდურასის ხალხთა სოლიდარობის ასოციაციის განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

წყალდიდობა

ადიდდნენ მდინარე ბრამაპუტრა და მისი შენაკადები. წყალდიდობამ მოიცვა ასამის შტატის (ინდოეთი) ყველა ახალი რაიონი. წყალდიდობისაგან დაზარალდა 6 ათასზე მეტი ოჯახი. მარტო კანპურის რაიონში დატბორილია 3 ათასი საცხოვრებელი სახლი.

ჩვენი ეპოქა

ამერიკელ პოლიტიკოსთა მძიმე პასუხისმგებლობა

ბოლოდროინდელ ჩინეთ-ინდოეთის

„ატომური ინფორმაციის" ... ბლოკ

... ბლოკ

... ბლოკ

#

სიყვარულს სიყვარულით უპასუხებენ

თბილისის საოპერო თეატრის გასტროლები მოსკოვში



ლაპარაკობენ ქართული ხელოვნების ოსტატები

მეთერთმეტე დღეა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მშრომელები მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე დიდი ინტერესით ეცნობიან ქართულ საოპერო და საბალეტო ხელოვნებას. ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის მსახიობები ჰეშშარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებენ მაყურებლებს. მაგრამ ეს გასტროლები არანაკლებ სასიხარულო და სასიამოვნოა თვით თეატრის კოლექტივისათვის, მისი თვითეული წევრისათვის. ეს მათთვის არის დიდი პატივი, მათი ხელოვნების მაღალი შეფასება, ამასთანავე დიდად პასუხსაგები შემოქმედებითი გამოცდა დედაქალაქის მაყურებელთა წინაშე.

ქვემოთ გამოქვეყნებულ მასალებში გადმოცემულია ქართველ მსახიობთა შთაბეჭდილებები.

ფოტოაპარატით მშობლიურ საქართველოში

ამ სურათზე ჯვრის უღელტეხილის ერთი ხედია გადაღებული. მწვანე იალაღზე გაშლილა და ლაღობს მთის ნოყიერი ბალახის მონატრული ფარა. იქით თეთრი ქედებია, აქეთ კიდევ ცხვრით გადაპენტილი ფერდობები. ასი თვალიც რომ გქონდეს, ვერცერთს ვერ მოაშორებ ამ სილამაზეს, ვერ გაძღები ამ წარმტაცი ბუნების მზერით.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲓᲦᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

სპორტული სამყაროს შეუნელებელი ინტერესით მთელის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ტრადიციულ აპეკრობას, ანუ როგორც მას უწოდებენ „გიგანტთა მატჩს“.

ეს გასაგებიც არის. სწორედ ამ ქვეყნების მძლეოსნებს თვლიან მსოფლიოში უძლიერესად და მათვე ეკუთვნით რეკორდების უმრავლესობა. ამურიკელი და საბჭოთა მძლეოსნების ასეთ აპეკრობას საფუძველი მოსკოვში 1958 წელს ჩაეყარა და დამთავრდა ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით 172:170. მას შემდეგ მეტოქეები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ფილადელფიაში, მოსკოვში (ორჯერ) და პალო-ალტოში. ოთხივეჯერ წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ.

დღევანდელი, რიცხვით მეექვსე, აპეკრობა ლოს-ანჯელოსში საყურადღებოა იმითაც, რომ ამერიკელებს, როგორც ამას სპეციალისტები აღნიშნავენ, ასეთი ძლიერი შემადგენლობის გუნდი ჯერ არ ჰყოლიათ. ამაზე მეტყველებს მიმდინარე სეზონის მაღალი შედეგები.

საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც რამდენიმე დღეა ლოს-ანჯელოსში იმყოფებიან, ჩინებულ სპორტულ ფორმაში არიან, მათგან მაღალ შედეგებს უნდა მოველოდეთ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ იაპონიის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს მართავს საბჭოთა კავშირში, სვერდლოვსკში გამართა მორიგი მატჩი რსფსრ „ბ“ კლასის გუნდების ნაკრებთან და შეხვედრა 0:0 დაამთავრა.

ივლისის ბოლო რიცხვებსა და აგვისტოს დასაწყისში საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა სტუმრები იქნებიან ირანის ნაკრები, ლიბანის საკლუბო გუნდი „მაზრა“ და შვეიცარიის მუშათა სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის გუნდი.

ირანელები საერთაშორისო მატჩებს გამართავენ 2, 4 და 8 აგვისტოს კრასნოდარში, დონის როსტოვსა და ოდესაში. ლიბანელი ფეხბურთელები მოაწყობენ 4 მატჩს, შვეიცარიელები — 3 შეხვედრას.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔ

კრაკოვში დაიწყო სტუდენტ მოჭადრაკეთა ოლიმპიადა.

პირველ ტურში საბჭოთა გუნდს პაეკრობა ჰქონდა პოლონელ მოჭადრაკეებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

ᲒᲐᲚᲔᲘᲐᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ბუქარესტში დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გალეას თასზე. ჩვენს სპორტსმენებს, რომელსაც მეთაურობს ა. მეტრეველი, შეხვედრა ჰქონდათ ბულგარელებთან და გაიმარჯვეს 3:0.

ᲪᲡᲙᲐ — „ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ“

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კიშინოვის „მოლდოვას“ ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩით დაიწყო „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი ტური.

შეხვედრის შედეგია 1:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

დღეს გაიმართება კიდევ ექვსი მატჩი. უყურადღების ცენტრშია შეხვედრები მოსკოვში და დონის როსტოვში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და „დინამოს“, აგრეთვე როსტოვის სკა-სა და კიევის „დინამოს“ შორის.

თბილისში ითამაშებენ ადგილობრივი „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“, ლენინგრადში — „ზენიტი“ და მინსკის „დინამო“, იაროსლავლში — „შინაკი“ და ალმა-ატის „კაირატი“, ბაკოში — „ნეფტანიკი“ და დონეცკის „შახტიორი“.

ᲓᲣᲑᲚᲘᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების ლენინგრადის ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირის მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივი დინამოელები შეხვდნენ ქუთაისის „ტორპედოს“. შეჯიბრება დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა წვეერავამ.

გუნდების შემადგენლობაში იყვნენ: „დინამო“ — ნარსია, სახვაძე, კოპანი, ჭელიძე, ბუხრაშვილი, ხარტიშვილი, ილიადი, ძიძიგური, ხუციშვილი, მაისურაძე, ვეკუა; „ტორპედო“ — ანდღულაძე, მიქაია, წიკვნიკაძე, ჩხენკელი, ჩიტიანი, წვერავა, ებრალიძე, საკანდელიძე, ნიკარაძე, ისიანი, დუნდუა.

ᲓᲦᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ იაპონიის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს მართავს საბჭოთა კავშირში, სვერდლოვსკში გამართა მორიგი მატჩი რსფსრ „ბ“ კლასის გუნდების ნაკრებთან და შეხვედრა 0:0 დაამთავრა.

ივლისის ბოლო რიცხვებსა და აგვისტოს დასაწყისში საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა სტუმრები იქნებიან ირანის ნაკრები, ლიბანის საკლუბო გუნდი „მაზრა“ და შვეიცარიის მუშათა სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის გუნდი.

ირანელები საერთაშორისო მატჩებს გამართავენ 2, 4 და 8 აგვისტოს კრასნოდარში, დონის როსტოვსა და ოდესაში. ლიბანელი ფეხბურთელები მოაწყობენ 4 მატჩს, შვეიცარიელები — 3 შეხვედრას.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔ

კრაკოვში დაიწყო სტუდენტ მოჭადრაკეთა ოლიმპიადა.

პირველ ტურში საბჭოთა გუნდს პაეკრობა ჰქონდა პოლონელ მოჭადრაკეებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

ᲒᲐᲚᲔᲘᲐᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გალეას თასზე. ჩვენს სპორტსმენებს, რომელსაც მეთაურობს ა. მეტრეველი, შეხვედრა ჰქონდათ ბულგარელებთან და გაიმარჯვეს 3:0.

ᲪᲡᲙᲐ — „ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ“

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კიშინოვის „მოლდოვას“ ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩით დაიწყო „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი ტური.

შეხვედრის შედეგია 1:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

დღეს გაიმართება კიდევ ექვსი მატჩი. უყურადღების ცენტრშია შეხვედრები მოსკოვში და დონის როსტოვში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და „დინამოს“, აგრეთვე როსტოვის სკა-სა და კიევის „დინამოს“ შორის.

თბილისში ითამაშებენ ადგილობრივი „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“, ლენინგრადში — „ზენიტი“ და მინსკის „დინამო“, იაროსლავლში — „შინაკი“ და ალმა-ატის „კაირატი“, ბაკოში — „ნეფტანიკი“ და დონეცკის „შახტიორი“.

ᲓᲣᲑᲚᲘᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების ლენინგრადის ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირის მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივი დინამოელები შეხვდნენ ქუთაისის „ტორპედოს“. შეჯიბრება დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა წვეერავამ.

გუნდების შემადგენლობაში იყვნენ: „დინამო“ — ნარსია, სახვაძე, კოპანი, ჭელიძე, ბუხრაშვილი, ხარტიშვილი, ილიადი, ძიძიგური, ხუციშვილი, მაისურაძე, ვეკუა; „ტორპედო“ — ანდღულაძე, მიქაია, წიკვნიკაძე, ჩხენკელი, ჩიტიანი, წვერავა, ებრალიძე, საკანდელიძე, ნიკარაძე, ისიანი, დუნდუა.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲣᲠᲗᲧᲐᲕᲔᲜ

ლაპარაკობენ ქართული ხელოვნების ოსტატები

მსოფლიოს საუკეთესო სცენაზე

პ. ამირანაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ᲛᲔ ᲛᲘᲛᲓᲚᲔᲠᲘᲐ ჩვენი ქვეყნის ბევრ სცენაზე — დიდ თეატრში, ლენინგრადში, რიგაში, კიევში, მინსკში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ბაქოში — ქალაქთა ეს სია შეიძლება გავაგრძელო, მაგრამ საუკეთესო სცენა, რომელზეც გამოვსულვარ, უთუოდ კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაა.

ჩვენი თეატრის ყველა შემოქმედებითი მუშაკი უსაზღვროდ მოხარულია, რომ შესაძლებლობა მიეცათ მოსკოვში ეჩვენებინათ, თუ რა მწვერვალებს მიაღწია ჩვენი მშობლიური საქართველოს კულტურამ ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება.

მოსკოვის ხელოვნების ოსტატებთან მეგობრულ საუბრებში ყურადღებით მოვისმინეთ ჩვენი მშობლის შეფასება, მეგობრული სურვილები და რჩევა, რაც ქართული კულტურის შემდგომი ზრდის დიდმნიშვნელოვანი სტიმული გახდება.

მეგობრობის ნიშანი

ვ. გლუნჩაძე,
ოპერის სოლისტი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲛᲐ მაყურებლებმა უდიდესი ყურადღება გამოიჩინეს ჩვენი თეატრისადმი. ჩვენი თეატრის გასტროლები თავისი მნიშვნელობით შეხანიშნავი მოვლენაა. საკმარისია მარტო იმის აღნიშვნაც, რომ ჯერ ერთი — გასტროლები მთელ ორ დეკადას გრძელდება და, მეორეც, ყოველ ჩვენს სპექტაკლს 5 ათასი კაცი ესწრება.

ეს ჩვენი ხალხების მეგობრობის დიადი ნიშანია.

„სემიონ კოტკოს“ პრემიერა

ᲒᲣᲨᲘᲜ გვიან ღამით ჩვენმა მოსკოველმა კორესპონდენტმა გვაცნობა:

დღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მოსკოველ მაყურებელს უჩვენა კიდევ ერთი ახალი ნამუშევარი — გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ს. პროკოფიევის „სემიონ კოტკო“. ეს იყო თეატრის ბოლო პრემიერა ყრილობათა სასახლის სცენაზე.

მოსკოველმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო ქართველ ხელოვანთა ეს სპექტაკლი. როგორც წინათ, ყრილობათა სასახლე ახლაც ხალხით იყო სავსე. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ა. ჩაკალიძს (კოტკო), ი. შუშანიას (ტკაჩენკო), ო. კუზნეცოვას (სოფიო), ა. ბურაძოვას (ფროსია). ორკესტრს, რომელიც შესანიშნავად ეღერდა, დირიჟორობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი.

25 ივლისს თბილისელები მეორედ წარმოადგენენ სახელგანთქმულ „ოტელოს“. ამ სპექტაკლზე ყველა ბილეთი ჯერ კიდევ 10 ივლისს გაიყიდა.

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲛᲝᲥᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ვ. ტაბლიაშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ჩვენი თეატრის მთელი კოლექტივის სახელით აღვნიშნო მოსკოველთა გულწრფელი სტუმართმოყვარეობა, რასაც ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ, ყველგან — სასტუმროში, ქუჩებში და მოედნებზე — ჩვენ, ქართველ მსახიობებს, გულთბილად და გულღიად გვხვდებიან.

კრემლის ყრილობათა სასახლეში ჩვენი თეატრის გასტროლების დროს დარბაზი ყოველთვის გაჩეფილია. სპექტაკლებს გადასცემენ აგრეთვე რადიოთი, ტელევიზიით.

ჩვენი თეატრის მუშაკებიც თავის მხრივ თვალნათლივ დარწმუნდნენ იმაში, რომ მათ ტაყვილად როდი უყვნებდნენ გვხვდებიან. ჩვენ ამ ფრაზაში ამ სალამაზეს, ვერ გაძღები ამ წარმტაცი ბუნების მზერით.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲓᲜᲔᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ნ. ანდღულაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი

ᲐᲮ, მოსკოვში, ჩვენი თეატრის გასტროლების დღეებში განსაკუთრებით მკვეთრად ვიგრძენი, რა მტკიცედ შეეიდა ქართველი ხალხის ხელოვნება საბჭოთა მხატვრული კულტურის მრავალეროვნულ საგანძურში, რა თბილად გვღებულობენ მოსკოველები.

ბედნიერი ვარ, რომ კრემლის სასახლის სცენაზე ვასრულებდი აბესალომის პარტიას. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ბგერის ტემბრი ამ სცენიდან, მიუხედავად მისი უდიდესი ზომისა და თითქმის უკიდეგანო დარბაზისა, თითქმის ორ იკარგება. მომღერალი გრძნობს თავისი ხმის ძღერის ბუნებრივობას, და ეს აღფრთოვანებს და ძალებს მატებს მას.

მოსკოველი მაყურებლები გვისურვებენ დიდ ბედნიერებას და ჩვენი კულტურის ახალ აყვავებას.

კიდევ უფრო მეგვიყვარდნენ მოსკოველები.

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲚᲔᲠᲐ

მთებს უმღეროდა ვაჟაი,
წინ ედგა სანუკვარები —
კავკასიონის ქედები,
მწყემსების ნამუხლარები.
მეც მეცხვარე ვარ, მასხია
შავი ნაბადი მხრებზედა.

ზამთარს ყიზლარში ვატარებ,
ზაფხულს თრიალეთს, ველზედა.
დღეღამე ცხვარში ვტრიალებ,
თვალს რული არ მეკარება.
ცხვარს ვანდე მთელი სიცოცხლე,
მინდა მახარონ ფარებმა.
დამიმბორილდა ღრუბელი,
ცა ვერ მაშინებს ქუხილით.
ვაქვაცს გმირობა შეჰფერის,
ჯაბანს კი — ბედზე წუხილი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
დუშეთის რაიონი, ჩარგალი.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲣᲛᲔᲪᲠᲔᲑᲘᲡᲐ...

ᲐᲨᲘᲜ პირველი ქართული დივიზია თბილისში იდგა. ეს იყო 1924 წელს. დივიზიის რიგითი ჯარისკაცის მიხეილ სიხარულიძის ცხოვრებაში დაუვიწყარია ეს დრო. კონტრრევოლუციურ ჯგუფებს ებრძოდა სახელოვანი ქართული დივიზია. სწორედ მაშინ, 1924 წელს, ამ 40 წლის წინათ, მიიღეს იგი კომუნისტური პარტიის რიგებში.

მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მ. სიხარულიძე 1926 წლამდე ქართულ დივიზიაში იყო, შემდეგ თელავის მტს-ში პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა, 1939 წელს დირექტორის მოადგილე გახდა მერე თბილისში გადმოვიდა (პროფესიით ეკონომისტია) და ამრეუშმის ტრესტის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსად დაიწყო მუშაობა.

1941 წლის 22 ივლისს, როცა ომი ატყდა და ჩვენი ქვეყანა ტყვია-წამლის კვამლში გაეხვია. ქართული დივიზიის ყოფილმა მებრძოლმა მიხეილ სიხარულიძემ პირველსავე დღეს კვლავ ჩაიცვა ჯარისკაცის მაზარა.

მალე ფრონტებე ფავიდა. ოჯახში მარტოდ მარტო დარჩენილ მეუღლეს სანგარში მუხლისთავზე დაწერილი სამკუთხა ჯარისკაცული წერილებით ამხნევებდა, „მალე ჩამოვალ, მტერს დღეებს ვუთვლიან ბიჭებიმ... თავს მოუარე, ახლად იყავი, მოვითხვეს ბითვლიან ჩვენი კოლეკლები“.

მიხეილის მეუღლის პატარა საოჯახო არქივში არის რამდენიმე სამახსოვრო ქაღალდი, რომლებიც შუდამ დარჩება საოჯახო რელიკვიად. ეს მიხეილის რამდენიმე თანამებრძოლისა და ნაწერის უფროსის წერილია. აი ერთი მათგანი:

„ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲡᲘ ᲥᲘᲜᲘᲐ ᲛᲠᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲐᲡᲔᲚᲘ, ᲡᲘᲚᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗᲘ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ — ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙᲘᲡ-ᲫᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲒᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲯᲐᲮᲘᲚᲝᲛᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“.

ამ წერილის თავზე დაბეჭდილია.

„ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ!“

მართლაც შეინახავს საუკუნეები მათს დიდ ბრძოლებს. თაობიდან თაობებს გადაეცემა საგმირო ამბები, რომლებიც ჩვენს მამებს, ძმებს — თანამედროვეებს გადასდათ. ომგადასდილი ადამიანი უკვე ისტორიული პირია. და თუ კი მას კაცუთად უბრძოლია, იგი ადამიანთა იმ „ოქროს ფონდს“ ეკუთვნის, რომლებმაც შექმნეს ჩვენი ქვეყნის სამართლიანი ბრძოლის დიდი ისტორია.

ამიტომ არის, რომ ომში დაღუპულს ყველა ვაჟკაცის ხსოვნის წინაშე მუხლს უნდა იყრიდეს ყოველი ჩვენგანი, ამიტომ უნდა მოვეკიდოთ ომგადასდილებს დიდი სიყვარულითა და გულისხმიერებით.

მიხეილ სიხარულიძეს მთავრობის ათი ჯილდო აქვს, ოთხი ორდენი — სამამული ომის პირველი და მეორე ხარისხისა და ორიც წითელი ვარსკვლავისა. აქვს რამდენიმე მადლობა და კარგი სბრძოლო დასახასიათება. ეს საბუთებიც რომ არ გააჩნდეს, კომუნისტს 40 წლის სტაჟით სიტყვაც დაეჯერება, რომ მან პატიოსნად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

1946 წლის სექტემბერში დემობილიზაციით დაბრუნდა და რაიკომის საგზურით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პრიდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურპროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა.

აქ მუშაობდა 12 წელიწადს. და აი, 12 წლის შემდეგ თავს დაატყდა უბედურება (დიახ, სწორედ უბედურება). 1962 წლის 11 ივლისს იგი დაამბტამრეს.

პირველი მაისის მილიციის განყოფილების მუშაკებმა ბაზაში დანაკლისი აღმოაჩინეს. სიხარულიძეს ბრალი დადეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და თანამდებობრივ გულგრილობაში. ეს საკმაოდ მძიმე და ხერიოზული ბრალდებაა და თუ სასწლის სამართლის კოდექსში ჩაიხედავს კაცი, დაინახავს, რომ სასჯელიც მცირე არ არის გათვალისწინებული ასეთი დანაშაულისათვის.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲣᲛᲔᲪᲠᲔᲑᲘᲡᲐ...

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲘᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲒᲘᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
დუშეთის რაიონი, ჩარგალი.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲣᲛᲔᲪᲠᲔᲑᲘᲡᲐ...

ᲐᲨᲘᲜ პირველი ქართული დივიზია თბილისში იდგა. ეს იყო 1924 წელს. დივიზიის რიგითი ჯარისკაცის მიხეილ სიხარულიძის ცხოვრებაში დაუვიწყარია ეს დრო. კონტრრევოლუციურ ჯგუფებს ებრძოდა სახელოვანი ქართული დივიზია. სწორედ მაშინ, 1924 წელს, ამ 40 წლის წინათ, მიიღეს იგი კომუნისტური პარტიის რიგებში.

მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მ. სიხარულიძე 1926 წლამდე ქართულ დივიზიაში იყო, შემდეგ თელავის მტს-ში პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა, 1939 წელს დირექტორის მოადგილე გახდა. მერე თბილისში გადმოვიდა (პროფესიით ეკონომისტია) და ამრეუშმის ტრესტის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსად დაიწყო მუშაობა.

1941 წლის 22 ივლისს, როცა ომი ატყდა და ჩვენი ქვეყანა ტყვია-წამლის კვამლში გაეხვია. ქართული დივიზიის ყოფილმა მებრძოლმა მიხეილ სიხარულიძემ პირველსავე დღეს კვლავ ჩაიცვა ჯარისკაცის მაზარა.

მალე ფრონტებე ფავიდა. ოჯახში მარტოდ მარტო დარჩენილ მეუღლეს სანგარში მუხლისთავზე დაწერილი სამკუთხა ჯარისკაცული წერილებით ამხნევებდა, „მალე ჩამოვალ, მტერს დღეებს ვუთვლიან ბიჭებიმ... თავს მოუარე, ახლად იყავი, მოვითხვეს ბითვლიან ჩვენი კოლეკლები“.

მიხეილის მეუღლის პატარა საოჯახო არქივში არის რამდენიმე სამახსოვრო ქაღალდი, რომლებიც შუდამ დარჩება საოჯახო რელიკვიად. ეს მიხეილის რამდენიმე თანამებრძოლისა და ნაწერის უფროსის წერილია. აი ერთი მათგანი:

„ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲡᲘ ᲥᲘᲜᲘᲐ ᲛᲠᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲐᲡᲔᲚᲘ, ᲡᲘᲚᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗᲘ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ — ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙᲘᲡ-ᲫᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲒᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲯᲐᲮᲘᲚᲝᲛᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“.

ამ წერილის თავზე დაბეჭდილია.

„ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ!“

მართლაც შეინახავს საუკუნეები მათს დიდ ბრძოლებს. თაობიდან თაობებს გადაეცემა საგმირო ამბები, რომლებიც ჩვენს მამებს, ძმებს — თანამედროვეებს გადასდათ. ომგადასდილი ადამიანი უკვე ისტორიული პირია. და თუ კი მას კაცუთად უბრძოლია, იგი ადამიანთა იმ „ოქროს ფონდს“ ეკუთვნის, რომლებმაც შექმნეს ჩვენი ქვეყნის სამართლიანი ბრძოლის დიდი ისტორია.

ამიტომ არის, რომ ომში დაღუპულს ყველა ვაჟკაცის ხსოვნის წინაშე მუხლს უნდა იყრიდეს ყოველი ჩვენგანი, ამიტომ უნდა მოვეკიდოთ ომგადასდილებს დიდი სიყვარულითა და გულისხმიერებით.

მიხეილ სიხარულიძეს მთავრობის ათი ჯილდო აქვს, ოთხი ორდენი — სამამული ომის პირველი და მეორე ხარისხისა და ორიც წითელი ვარსკვლავისა. აქვს რამდენიმე მადლობა და კარგი სბრძოლო დასახასიათება. ეს საბუთებიც რომ არ გააჩნდეს, კომუნისტს 40 წლის სტაჟით სიტყვაც დაეჯერება, რომ მან პატიოსნად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

1946 წლის სექტემბერში დემობილიზაციით დაბრუნდა და რაიკომის საგზურით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პრიდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურპროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა.

აქ მუშაობდა 12 წელიწადს. და აი, 12 წლის შემდეგ თავს დაატყდა უბედურება (დიახ, სწორედ უბედურება). 1962 წლის 11 ივლისს იგი დაამბტამრეს.

პირველი მაისის მილიციის განყოფილების მუშაკებმა ბაზაში დანაკლისი აღმოაჩინეს. სიხარულიძეს ბრალი დადეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და თანამდებობრივ გულგრილობაში. ეს საკმაოდ მძიმე და ხერიოზული ბრალდებაა და თუ სასწლის სამართლის კოდექსში ჩაიხედავს კაცი, დაინახავს, რომ სასჯელიც მცირე არ არის გათვალისწინებული ასეთი დანაშაულისათვის.

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲚᲔᲠᲐ

მთებს უმღეროდა ვაჟაი,
წინ ედგა სანუკვარები —
კავკასიონის ქედები,
მწყემსების ნამუხლარები.
მეც მეცხვარე ვარ, მასხია
შავი ნაბადი მხრებზედა.

ზამთარს ყიზლარში ვატარებ,
ზაფხულს თრიალეთს, ველზედა.
დღეღამე ცხვარში ვტრიალებ,
თვალს რული არ მეკარება.
ცხვარს ვანდე მთელი სიცოცხლე,
მინდა მახარონ ფარებმა.
დამიმბორილდა ღრუბელი,
ცა ვერ მაშინებს ქუხილით.
ვაქვაცს გმირობა შეჰფერის,
ჯაბანს კი — ბედზე წუხილი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
დუშეთის რაიონი, ჩარგალი.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ იაპონიის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს მართავს საბჭოთა კავშირში, სვერდლოვსკში გამართა მორიგი მატჩი რსფსრ „ბ“ კლასის გუნდების ნაკრებთან და შეხვედრა 0:0 დაამთავრა.

ივლისის ბოლო რიცხვებსა და აგვისტოს დასაწყისში საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა სტუმრები იქნებიან ირანის ნაკრები, ლიბანის საკლუბო გუნდი „მაზრა“ და შვეიცარიის მუშათა სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის გუნდი.

ირანელები საერთაშორისო მატჩებს გამართავენ 2, 4 და 8 აგვისტოს კრასნოდარში, დონის როსტოვსა და ოდესაში. ლიბანელი ფეხბურთელები მოაწყობენ 4 მატჩს, შვეიცარიელები — 3 შეხვედრას.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔ

კრაკოვში დაიწყო სტუდენტ მოჭადრაკეთა ოლიმპიადა.

პირველ ტურში საბჭოთა გუნდს პაეკრობა ჰქონდა პოლონელ მოჭადრაკეებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

ᲒᲐᲚᲔᲘᲐᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გალეას თასზე. ჩვენს სპორტსმენებს, რომელსაც მეთაურობს ა. მეტრეველი, შეხვედრა ჰქონდათ ბულგარელებთან და გაიმარჯვეს 3:0.

ᲪᲡᲙᲐ — „ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ“

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კიშინოვის „მოლდოვას“ ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩით დაიწყო „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი ტური.

შეხვედრის შედეგია 1:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

დღეს გაიმართება კიდევ ექვსი მატჩი. უყურადღების ცენტრშია შეხვედრები მოსკოვში და დონის როსტოვში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და „დინამოს“, აგრეთვე როსტოვის სკა-სა და კიევის „დინამოს“ შორის.

თბილისში ითამაშებენ ადგილობრივი „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“, ლენინგრადში — „ზენიტი“ და მინსკის „დინამო“, იაროსლავლში — „შინაკი“